ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1501590

ნომერი: AR1252044

თარიღი : 21.09.2014

გაცემის თარიღი : 01.10.2014

გაცნობის თარიღი : 03.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა მშენებელთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ხიზანიშვილი პ/ნ 01012026607
- თბილისი ვაზისუბნის I მ/რ კორ. 18 ბ. 57

ორგანიზაცია:

- "ორხევი-96" კოდი: 208144827

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 21 სექტემბერს #AR1252044 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ვლადიმერ ხიზანიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, მშენებელთა ქუჩა #1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.19.16.002.043) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა–ნაგებობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სამრეწველო ზონა 2 (ს-2) წარმოადგენს ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ამ ზონას ასევე მიეკუთვნება ნაგავსაყრელის ტერიტორიები, რომლის შესაბამისადაც მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა–ნაგებობის მშენებლობა აღნიშნულ ზონაში ნებადართული არ არის.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ვლადიმერ ხიზანიშვილს ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, მშენებელთა ქუჩა #1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.19.16.002.043) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა–ნაგებობის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.